სიმრავლეთა სასრული ოჯახების კონსტიტუენტების შესახებ

თენგიზ ტეტუნაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
tengiztetunashvili@gmail.com

მოხსენებაში განვიხილავთ საკითხს სიმრავლეთა ნებისმიერი სასრული ოჯახის გეომეტრიული რეალიზაციის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ სიმრავლეთა დამოუკიდებელი ოჯახების გეომეტრიულ რეალიზაციებს და იმ ფიგურებს, რომელთა საშუალებით შეიძლება განხორციელდეს აღნიშნული რეალიზაციები. წარმოვადგენთ ზემოაღნიშნული რეალიზაციების შედეგად წარმოქმნილი კონსტიტუენტების ზოგიერთ გეომეტრიულ თვისებას.